MAGTI-GSM-GEO LTE 15:21 59%

Done SIGNED_61-01182962274.pdf

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის

სსიპ ქონების მართვის სააგენტო

წერილის ნომერი: **61-01182962274**
თარიღი: **23/10/2018**
პინი: **9629**

ადრესატი: შპს თეთრი სამყარო
საიდენტიფიკაციო ნომერი: 405066075
მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ნუცუბიძის IV მრ., კორპ. 5-ის მიმდებარედ

გადაამოწმეთ: document.municipal.gov.ge

შპს თეთრი სამყაროს დირექტორს

ბატონ - ბაჩანა გოგიშვილს

ბატონო ბაჩანა,

თქვენს 12.10.2018 წლის N19/0118285872-61 წერილთან დაკავშირებით, რომლითაც ითხოვდით ქ. თბილისი, ნუცუბიძის IV მრ., კორპუსი 35 - ის მიმდებარედ, მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.16.008.043) საჯარო სამართლებრივი სერვიტუტით დატვირთვას (საკუთრებაში არსებულ 01.14.16.008.103 - საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთთან მისასვლელი გზის მოწყობის მიზნით) გაცნობებთ, რომ სსიპ ქონების მართვის სააგენტოს შესაძლებლად მიაჩნია მიწის ნაკვეთის დანართში მითითებული ტრაექტორიით(იხ. დანართი) სერვიტუტით დატვირთვა, იმ შემთხვევაში თუ შპს თეთრი სამყარო აიღებს დარჩენილ 428 კვ.მ მიწის ნაკვეთზე (იხ. დანართი) საერთო სარგებლობის სკვერის მოწყობის ვალდებულებას.

პატივისცემით,

ირაკლი თავართქილაძე

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

გაცნობის თარიღი	გაცემის თარიღი
17.10.2018	17.10.2018

განხილვის საგანი :	ქონების გამოყენებაზე აქტის გამოცემა
დაინტერესებული პირი :	ბაჩანა გოგიშვილი 01010019672
წარმოების საფუძველი :	განცხადება №: QN1637077
გასაჩივრების წესი :	გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6)
აქტის მოქმედების ვადა :	აქტი ძალაშია გამოქვეყნებისთანავე

სააგენტოს გადაწყვეტილება № QN1637077

დაკმაყოფილდეს განმცხადებლის წერილობით თხოვნა და მიეცეს თანხმობა გამოიყენოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება – საკადასტრო კოდით: 01.14.16.008.044, აღნიშნული უძრავი ქონების და 01.14.16.008.103 საკადასტრო ერთეულის მიჯნის ზონაში ღიობების მოწყობის მიზნით, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში წარსადგენად.

საფუძველი:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურის და ვადების განსაზღვრის შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის #19-74 დადგენილება; ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქონების მართვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 თებერვლის #13-42 დადგენილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის
ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ 4-1/ს 890-18

"11" 05 2018 წ.

დადგენილება №003362
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

11.05.2018წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ მამუკა ჯაყელმა განვიხილე 2018 წლის 19 თებერვლის №003362 მითითება და 2018 წლის 13 მარტის №003362 შემოწმების აქტი, შედგენილი **შ.პ.ს. "თეთრი სამყარო"-ს** (ს.კ. №405066075; მის: ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ნუცუბიძის IV მ/რ, კორპ. №5-ის მიმდებარედ) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დარღვევაზე და **გამოვარკვიე:**

ქ. თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ, კორპ. №5-ის მიმდებარედ (საკ. კოდი №01.14.16.008.015) შ.პ.ს. "თეთრი სამყარო"-ს მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 05 მაისის №3239098 AR1490055 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით: **ფასადი „ა-თ":** „ე-ზ" მონაკვეთში მინაბლოკების ნაცვლად მოწყობილია ფანჯრები და მათი ღიობები. **ფასადი „თ-ა":** დამატებულია ფანჯრები და მათი ღიობები. ფასადებზე შეცვლია კარების და ფანჯრების და მათი ღიობების რაოდენობა და გაზრდილია მათი გაბარიტები. ასევე ნაწილობრივ მონაცვლებულია მათი ადგილმდებარეობა. შეცვლილია კარ-ფანჯრის მასალა და ნაწილის ვიზუალური მხარე. -10.50 ნიშნულზე „თ-თ" ღერძის გარეთ „1-6" მონაკვეთში, „6-6" ღერძის გარეთ „თ-ე" მონაკვეთში და „1-1" ღერძის გარეთ „ე-თ" მონაკვეთში ფილა გასულია კოლონებს გარეთ. შემცირებულია სართულის სიმაღლე. „1-5" მონაკვეთში „თ-თ" ღერძის გარეთ გაუქმებულია პანდუსი და „4-5" მონაკვეთში კედლები. -7.20 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია ტიხრები და ავტოსადგომის ნაცვლად მოწყობილია ფართები. „4-5" მონაკვეთში „თ-თ" ღერძის გარეთ გაუქმებულია -10.50 ნიშნულზე ავთოფარეხში შესასვლელის გადახურვის მონოლითური ფილა, შემცირებულია სართულის სიმაღლე. -3.60 ნიშნულზე დამატებით მოწყობილია

ქ. თბილისი 0160, ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 501, ფ. 2 378 396

დაელგონოლში განაჩენი ობიექტის ვასადზე 18.05.2018წ

გაზრდილია საკომუნიკაციო შახტების რაოდენობა და ნაწილს მონაცვლებული აქვთ ადგილმდებარეობა. „3-3" და „5-5" ღერძების გადაკვეთასთან შემცირებულია ლიფტის შახტის ღიობის სიგანე და გაუქმებულია ერთი ლიფტი. ასევე მონაცვლებული აქვს ადგილმდებარეობა. შეცვლილია აივნების გაბარიტები. აივნების ნაწილზე დამატებით მოწყობილია ბლოკის კედლები და ნაწილობრივ გაზრდილია საპროექტო კედლების სიმაღლე. შენობას მონაცვლებული აქვს ადგილმდებარეობა. შენობა ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს.

სამსახურის სპეციალისტის მიერ, საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2018 წლის 19 თებერვალს შედგენილ იქნა მითითება №003362, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 20 (ოცი) კალენდარული დღის ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2018 წლის 13 მარტს საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ, შედგა შემოწმების აქტი №003362, რომლითაც დაფიქსირდა მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობა.

2018 წლის 17 აპრილს აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით გაიმართა საქმის განხილვა. საქმის განხილვის თარიღის შესახებ სათანადო წესით ეცნობა მხარეს. სხდომაზე გამოცხადდა შ.პ.ს. "თეთრი სამყარო"-ს დირექტორი ბაჩნა გოგიშვილი (პირადი №01010019672), რომელმაც დაადასტურა მითითებისა და შემოწმების აქტის ჩაბარება და განაცხადა, რომ მიმდინარეობს წითელი ხაზების გასწორება, რის შემდგომ აპირებენ პროექტის კორექტირებას. მხარემ ასევე განაცხადა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დაქვემდებარებაში არსებულ სამსახურებში ჭიანურდება მათი საქმის განხილვები, რამაც შეიძლება გამოიწვიოს მათი დაჯარიმება სამმაგი ოდენობით, შესაბამისად მხარემ მოითხოვა გონივრული ვადა პროექტის კორექტირებისათვის, ვინაიდან კორექტირება დამოკიდებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურზე და ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურზე, სადაც მიმდინარეობს წითელი ხაზების გასწორება.

სამსახურის მთ. სპეციალისტის 2018 წლის 11 მაისის მოხსენებითი ბარათით ირკვევა, რომ ობიექტი განმეორებით იქნა გადამოწმებული, რის შემდგომაც დადგინდა, რომ შ.პ.ს. "თეთრი სამყარო"-ს მიერ, არ იქნა შესრულებული სამსახურის 2018 წლის 19 თებერვლის №003362 მითითებით გათვალისწინებული მოთხოვნები. საქმეშია ობიექტის ამსახველი ფოტომასალა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს კანონში "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექს"-ში 2018 წლის 07 მარტს შესული №2051-IIს ცვლილების (სარეგისტრაციო კოდი №240110000.05.001.018779; გამოქვეყნების თარიღი 21.03.2018წ.) თანახმად, აღნიშნულ სამართალდარღვევაზე პასუხისმგებლობა განისაზღვრება 45-ე მუხლის პირველი ნაწილით, მუხლის „ა.გ." ქვეპუნქტით და მოქმედი რედაქცია ითვალისწინებს პირს დაჯარიმებას 15000 (თხუთმეტი ათასი) ლარის ოდენობით. „ნორმატიული [illegible] საქართველოს კანონის 47-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად [illegible]

აქტს, რომელიც ადგენს ან ამძიმებს პასუხისმგებლობას, უკუძალა არა აქვს". შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში, არ არსებობს გაზრდილი საჯარიმო თანხის დაკისრების სამართლებრივი საფუძველი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შ.პ.ს. "თეთრი სამყარო"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რ, კორპ. №5-ის მიმდებარედ (საკ. კოდი №01.14.16.008.015) შ.პ.ს. "თეთრი სამყარო"-ს მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 05 მაისის №3239098 AR1490055 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით,

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, საქართველოს კანონით "ნორმატიული აქტების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით, **დავადგინე:**

1. **შ.პ.ს. "თეთრი სამყარო"** დაჯარიმდეს 4000 (ოთხი ათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის.

2. **შ.პ.ს. "თეთრი სამყარო"-ს** დაევალოს, საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - **მიმღების დასახელება:** ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, **მიმღების ბანკი:** სახელმწიფო ხაზინა, **ბანკის კოდი: TRESGE22, საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263,** გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. "თეთრი სამყარო"-ს დაევალოთ, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

ავტოსადგომის ნაცვლად მოწყობილია ფართები. „დ-ე" და „5-4" მონაკვეთების გადაკვეთაზე დამატებით მოწყობილია ორ მარშიანი კაპიტალური კიბე. „4-1" და „ა-ე" მონაკვეთების გადაკვეთაზე გაუქმებულია პანდუსი. „თ-თ" ღერძის გარეთ „1-5" მონაკვეთში სართულს დამატებული აქვს მონოლითური კონსოლი და ნაწილზე მოწყობილია ბლოკის კედლები, რითაც შექმნილია აივნები და დახურული ფართი. შემცირებულია სართულის სიმაღლე. -10.50, -7.20 და -3.60 ნიშნულებზე „6-1" და „ა-გ" მონაკვეთების გადაკვეთაზე გაუქმებულია მალი. „1-1" ღერძზე „გ-დ" მონაკვეთში გასწორებულია კედელი, შეცვლილია სართულების გაბარიტები და შემცირებულია ფართები. „5-6" და „ე-ე" მონაკვეთების გადაკვეთაზე კიბეს გაზრდილი აქვს გაბარიტი, შეცვლილი აქვს კონფიგურაცია, შემცირებული აქვს საფეხურების რაოდენობა და შეცვლილი აქვს მიმართულება. -7.20 და 3.60 ნიშნულებზე „6-6" ღერძის მიმდებარედ „ე-გ" მონაკვეთში და „1-1" ღერძის მიმდებარედ „გ-ე" მონაკვეთში მოწყობილია ლოჯიები. +0.00 ნიშნულზე „1-1" ღერძზე „გ-დ" მონაკვეთში კედელი გასწორებულია. „თ-თ" ღერძის გარეთ „5-5" ღერძთან და „1-4" მონაკვეთში დამატებით მოწყობილია აივნების მონოლითური კონსოლები. „4-1" და „გ-დ" მონაკვეთების გადაკვეთაზე დამატებით მოწყობილია მონოლითური ფილა და „თ-ე" და „5-6" მონაკვეთების გადაკვეთაზე დამატებით მოწყობილია დახურული ფართი. შემცირებულია სართულის სიმაღლე, ხოლო „ე-ე" და „5-5" ღერძების გადაკვეთის მიმდებარედ გაზრდილია კიბის უჯრედის სიმაღლე. „6-1" და „ა-გ" მონაკვეთების გადაკვეთაზე გაუქმებულია პანდუსები, კიბე და კედლები. +0.00 ნიშნულიდან სართულებზე „დ-ე" და „5-4" მონაკვეთების გადაკვეთაზე კიბეს მონაცვლებული აქვს ადგილმდებარეობა „5-5" ღერძიდან „4-4" ღერძის მიმართულებით და შეცვლილი აქვს მიმართულება. +3.60 ნიშნულზე „თ-ე" და „5-6" მონაკვეთების გადაკვეთაზე გაუქმებულია აივანი, დამატებით მოწყობილია გადახურვის მონოლითური ფილა და ბლოკის დაბალი კედლები. +3.60 ნიშნულიდან სართულებზე „1-1" ღერძის გარეთ „ე-თ" მონაკვეთში და მიმდებარედ გაუქმებულია კონსოლი. „დ-დ" ღერძის მიმდებარედ „4-1" მონაკვეთში აივნების ნაცვლად მოწყობილა დახურული ფართები და აღნიშნულ მონაკვეთში „დ-დ" ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია აივნების კონსოლები. შეცვლილია სართულების კონფიგურაცია და გაბარიტი. +6.90 ნიშნულიდან სართულებზე „5-5" და „თ-თ" ღერძების გადაკვეთის მიმდებარედ და „4-4" და „გ-გ" ღერძების გადაკვეთის მიმდებარედ შეცვლილა აივნების კონფიგურაცია. „5-6" მონაკვეთში „ე-ე" ღერძის გარეთ აივნების ნაცვლად მოწყობილია დახურული ფართები და აივნები დამატებულია „5-5" ღერძის მიმდებარედ. +10.20 ნიშნულზე „1-4" მონაკვეთში „თ-თ" ღერძის გარეთ აივნის ნაწილის ნაცვლად შექმნილია დახურული ფართი. +10.20 და +16.80 ნიშნულებზე „1-4" მონაკვეთში „თ-თ" ღერძის გარეთ და „6-5" მონაკვეთში „გ-გ" ღერძის გარეთ აივნების ნაწილის ნაცვლად შექმნილია დახურული ფართები. სართულებზე შეცვლილია კოლონების რაოდენობა და საპროექტო კოლონებს ნაწილობრივ მონაცვლებული აქვთ ადგილმდებარეობა. კოლონების ნაწილს გაზრდილი აქვთ გაბარიტები, შეცვლილი აქვთ ფორმა [illegible] პილონებად. საპროექტო პილონებს შემცირებული აქვთ გაბ[illegible] რიგელების რაოდენობა. ნაწილობრივ შეცვლილია გარეპერიმეტის [illegible] მასალა და შენობის შიგნით დამატებით მოწყობილ[illegible]

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, "დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ", ხოლო საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დამრღვევს დაერიცხება საურავი დაჯარიმების შესახებ დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება დაკისრებული ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობის თანხით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჯ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
მოადგილე

შამუკა ჯაყელი

ასლი

საგადახდო დავალება № 7301

29/08/2018 წელი

ბანკი ქართუ CARTU BANK

165409631

გადამხდელის დასახელება: შპს თეთრი სამყარო, 405066075

ანგარიში (დებეტი): GE27CR0000000019323602

გადამხდელის ბანკი: სს "ბანკი ქართუ"

ბანკის კოდი: CRTUGE22

თანხა

4,000.00

თანხა სიტყვიერად

ოთხი ათასი ლარი 00 თეთრი

ივსება მხოლოდ სახელმწიფო ხაზინაში გადახდების დროს

გადასახადის გადამხდელის დასახელება: შპს თეთრი სამყარო, 405066075

გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო კოდი: 405066075

ბიუჯეტის შემოსულობების სახაზინო კოდი: 300773263

მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი

ანგარიში (კრედიტი): 300773263

მიმღების ბანკი: "სახელმწიფო ხაზინა"

ბანკის კოდი: TRESGE22

ბანკის აღნიშვნები

გადახდის დანიშნულება:

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

ბანკში შემოსვლის თარიღი: 29/08/2018

გატარებულია ბანკის მიერ: 29/08/2018

დამატებითი ინფორმაცია:

სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე დადგენილება N 003362, 11.05.2018წ.

ხელმოწერა

ხელმოწერები: გ. ჯოჯიშვილი

ბ.ა.

ბეჭდის ადგილი

ხელმოწერით ვადასტურებ, რომ გავეცანი მომსახურების სტანდარტულ ტარიფებს და მათი გამოთვლის წესს. მომსახურების საკომისიო 0.5 GEL